



პრსენალი

პრსენალი
მედიისთვის

13

№ 22 (191), 30 თებერვალი - 12 ნოემბერი, 2009. სახელმწიფო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**„ჩემი ქვეყნის
სადარჯოვა
სალი ფენითას
დავდგები!..“**

1425
2009

**ენებარონი
შავ ზღვას
უხლოვდება**

**„ვითოვ
ენებარულ
და სწრაფ
მოქმედებას
ტიფლისის
ასადავად!..“**



**ფსიქოლოგიური
ობები**

**რუსული
პროპაგანდის
მორიგი დეზა...**



ახალგორი
ოვიღან ერთი
წლის შედეგად

6



„ვითხოვ
ენებრიულ
და სწრაფ
მოქმედებას
გიფლისის
ასაღებად“

25



„ჩვენი ქვეყნის
საღარაჯროზე
ცალი ფენითას
დავღებები“

12


ფსიქოლოგიური
ოპერები
აპერიკული გაემოსდილება

20



გომგღამეზენები
სტრაგეგიული
ოპერაციებისთვის

32



ეს უხანარი
კასი ალფრედ
ნოგელი იყო...

46



სარჩევი

- 4** ახალი ამბები კალიდოსკოპი
- 5** პენტაგონი შავ ზღვას უახლოვდება გეოპოლიტიკა
- 6** ახალგორი ომიდან ერთი წლის შემდეგ საფრთხე
- 7** რუსული პროპაგანდის კიდევ ერთი დეზა დამირისპირება
- 8** კავკასიური მოვლენების მიმოხილვა... რეგიონი
- 10** სოხუმის აეროპორტი 80 წლისაა თარიღი
- 12** ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე ცალი ფეხითაც დავდგები მხარობა
- 15** „შაერი-მინა“ კლასის მართვადი რაკეტები საპოლიტიკო შეიარაღება
- 20** ფსიქოლოგიური ომები პროფსიონალიზმი
- 25** საქართველოს საგარეო დაზვერვა მითი და რეალთა საუწყესაშენარები
- 30** ამფიბია სპეცდანიშნულების ძალებისათვის რადიოელექტრონული ბრძოლის საგეზანო თვითმფრინავი სიხსლე შეიარაღებაში
- 32** ბომბდამხენები სტრატეგიული ოპერაციებისთვის ინოვაციური ტექნოლოგიები
- 40** „კატემიდან“ საზღვაო „გრადამდე“ ფლოტი
- 43** ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალები მზადებას გადაინა სწავლებაში
- 46** კაცი, რომელსაც არავინ იცნობდა პიროვნება
- 52** არსენალვორდი ქროსპორტი
- 53** მასუჩიანი და ზედგამოჭრილი სპეცოპერაციებისთვის **MPSSD** „არსენალის“ იარაღის გადაზიდვა

რედაქციის სვეტი

რუსეთის ხელისუფლებამ ძველი კარტის გათამაშება ხელახლა დაიწყო და საქართველოს კვლავ აბრალებს ტერორისტების მომზადებას პანკისის ხეობაში და შემდეგ მათ ჩრდილო კავკასიაში შეზღავნას.

ავგუსტოს ომის დროს რუსეთის ავიაციამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არანაკლებ ორი ათასი ბომბი ჩამოაგდო და რაკეტა ისროლა. მაგრამ მათთან არც ერთი არ დატყვეულა იმ პანკისის ხეობაში, რომელიც რუსულ თვითმფრინავებს მანამდე არაერთხელ დაუბომბავთ.

არსებობს იმის საშიშროება, რომ ანტიტერორისტული ოპერაციის ფიცილი რუსეთის ხელისუფლებამ პანკისის ხეობაზე შეტევა სცადოს...

*ირაკლი ალდაშვილი
გიორგი შორაშვილიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
26.10.2009

გაზეთ „კვირის პალიტიკის“
დამატება ©
რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenal@kvririspalitra.com
ყურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

Trident II-მა რეკორდი დაამყარა



აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა საზღვაო ბაზირების ბალისტიკური რაკეტა Trident II D5-ის მორიგი გამოცდა ჩაატარეს. 1989 წლიდან Trident II ზედიზედ 129-ჯერ გაუშვეს და ყველა მთვანი შედეგიანად. ამ შედეგს ვერ გადააჭარბა ვერც ერთმა ბალისტიკურმა რაკეტამ ან კოსმოსურმა რაკეტა-მატარებელმა.

ბოლო გამოცდები მიმდინარე წლის 3-4 სექტემბერს გაიმართა. დაუმუხტევი რაკეტები ატლანტის ოკეანეში წყალქვეშა ნავიდან „დასავლეთი ვირჯინია“ გაუმყეს (SSBN-736 West Virginia), რომელიც წყალქვეშა მდგომარეობაში იყო. კომანანია Lockheed Martin-ის წარმომადგენელთა თქმით, Trident II D5-მა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი საიმედოობა.

2007 წელს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა დაიწყეს ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც იგეგმება საკონინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა Trident II D5-ის სამსახურის ვადის გაგრძელება. როგორც იუსეებთან, სამოდერნიზაციო სამუშაოები 2011 წელს დაიწყება, რაც რაკეტების სამსახურის ვადას, საერთაშორისო, 2042 წლამდე გაზრდის.

სამაფეთქურიან ბალისტიკურ რაკეტა Trident II D5-ს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების „ოკაიოს“ ტიპის წყალქვეშა ნავებზე დააყენებენ. Trident II D5-ის ფრენის მაქსიმალური სიშორე 11000 კმ-ს აღწარბებს. რაკეტას დაახლოებით რვა ქობინის წაღება შეუძლია.

Boeing-მა ინდოეთს შეუღობა Apache-ებისა და Chinook-ების ყიდვა შესთავაზა

კომანანია Boeing-მა ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს შეუღობა AH-64 Apache-ებისა და CH-47 Chinook-ების მიწოდების თაობაზე ოფიციალური წერილით მიმართა. საერთაშორისო, ახალი ტექნიკა იმ მოქმედებულ დამრტყმელ და მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო შეუღობაში შეყვლის, რომლებიც ამჟამად ინდოეთის შეიარაღებაშია.

მიმდინარე წლის მაისში ინდოეთის სამხედრო უწყებაში ტექნიკის მიწოდებაზე ახალი ტენდერები გამოაცხადა, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ აშშ-ის, ევროპისა და ასევე რუსეთის მწარმოებლებს. როგორც იუსეებოდნენ, ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს განზრახული აქვთ 22 დამრტყმელი და 15 მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო შეუღობაში მიწოდებაზე კონტრაქტის გაფორმება. ჯერჯერობით არ აზუსტებენ, როდის გამოცხადდება ამგვარადგენებლები.

Boeing-ის წარმომადგენლების თქმით, Apache-ები და Chinook-ები ყველაზე რენტაბელი შეუღობაშია და უკეთ მასუზობენ იმ ამოცანებს, რომლებიც ინდოეთის სამხედრო-სა-

ჰაერო ძალების წინაშე დაგა. გარდა ამისა, ტექნიკის მიწოდებით დაინტერესებულია კორპორაცია Sikorsky, რომელსაც განზრახული აქვს ინდოეთის შესთავაზოს შეუღობაში Black Hawk-ი.

შეუღობაში AH-64 Apache Longbow-ს სრულმასშტაბიანი წარმოება 1995 წელს დაიწყო. მას სადაზვერუოდ და სიკეცხლე მზარდაჭერისათვის იყენებენ. შეუღობაში აღჭურვილია 30-მილიმეტრისა და 76-მილიმეტრისა

ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა AGM-144 Hellfire-ებით, ასევე „პაეი-პაეი“ კლასის AIM-92 Stinger-ებით ან AIM-9 Sidewinder-ებით.

სამხედრო-სატრანსპორტო შეუღობაში CH-47 Chinook-ს 2006 წლიდან წარმოებენ. წინამორბედი მოდელი სეგან ის ახალი მრავლობითა და სრულყოფილი კორპუსითაც განსხვავდება. CH-47F-ის ტვირთამწეობა 9,5 ტონანს, შეუღობაში მაქსიმალური სიჩქარე კი საათში 280 კმ-ს აღწარბებს.



კენტიგონი შპს ზღვის უსლოვდება...

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი ბაი-დენის ოფიციალური ვეროპოლი ტურნეს დროს მიღწეულ იქნა ძალზე მნიშვნელოვანი შეთანხმება, რომლებიც ამერიკელი სამხედრო ბაზების გერმანიიდან აღმოსავლეთ ვეროპისკენ გადმინაცვლებას ითვალისწინებს.

შორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და „კოი ომის“ პერიოდში აშშ-ის სამხედრო ბაზები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფარგლებში ვეროპაში ველაზე აღმოსავლეთით, დასავლეთ გერმანიამ იფუნ განთავსებული. ისინი პრისპირ იფუნ ვარშავის პაქტის ხელშეკრულების წევრი საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზებთან აღმოსავლეთ გერმანიის საზღვრებთან.

18 წელია ადარ არსებობს ადარც ვარშავის პაქტი და არც საბჭოთა კავშირი. აღმოსავლეთ ვეროპის ქვეყნები დიდი ხანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები გახდნენ, თუმცა ამერიკელი სამხედრო ბაზები კვლავ ვეროპის შუაგულში, ვერო-თანხლებული გერმანიის ტერიტორიაზე რჩებიან.

გერმანიიდან (მაგალითად, რამშტაინის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან) აფანეთში ამერიკელი ვარების მომარაგება საქმიად როული საქუბა. პენტაგონისთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ვეროპაში ძირითადი სტრატეგიული ბაზები უფრო აღმოსავლეთით გადაქოზებინა.

სწორედ ეს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება იქნა მიღებული რამდენიმე დღის წინ, რაიფსაც რუმინეთსა და ბულგარეთში ამერიკელი სამხედრო ბაზების შექმნაზე შეთანხმებას მოიქარა ხელი.

უახლესს ორ-სამ იფუნ რუმინეთში დასრულდება ამერიკელი სამხედრო ბაზის შექმნა, რაც დაახლოებით 50 მან დოლარი დაჯდება. ეს ბაზა 1.6 ათას სამხედროს მიიძღვის. 2011 წლის ბოლისთვის კი 2.5 ათას კაცზე გათვლილი ამერიკელი სამხედრო ბაზა უკვე ბულგარეთში გაიხსნება.

გარდა ამისა ამერიკელი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების „პეტრიოტების“ დეიზინიები მალე პოლანეთის საჰაერო სერცეს დაიკავენ.

ამერიკელი სამხედრო ბაზების აღმოსავლეთ ვეროპაში გახსნას თითქოს საქართველისთვის დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს მილად ასე არ არის.

ამერიკელი სამხედრო დაჯგუფების გამოჩნა შვიზღვისპირა ქვეყნებს – რუ-



რუმინეთსა და ბულგარეთში ამერიკული სამხედრო ბაზების შექმნა გააქოიკებს აშშ-ის გავლენას შვი ზღვის აუვოპროიაზე, უსაგაიონად, გიოზრება უსაურთხონების გარანგია საქართველოსთვის

მნიეთისა და ბულგარეთის ტერიტორიებზე, ნიშნავს, რომ ოფიციალური გამწვტონი ცდილობს ფეხი მყარად მოიკიდოს შვი ზღვის აუვატორიაში.

შეიძლება მწელი დასაყრებელი იფოს, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი თურქეთი თავისი სტრატეგიული მოკავშირის – აშშ-ის გაძლიერებას შვი ზღვის აუვატორიაში არ მოესალმება და ამ მხრივ თურქეთისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ეთხვევა.

შე ზღვაში აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური გაძლიერება ხელს აძლევს შვი

ზღვისპირა კიდეც ორ ქვეყანას – უკრაინასა და საქართველოს, რაფან ამან, წესით, უნდა შეამციროს რუსეთის ჰეგემონია შვი ზღვაში.

თუკი მომავალში რუმინეთისა და ბულგარეთის შემდეგ ამერიკელი სამხედრო-საზღვაო ბაზები შეიძლება გაიხსნას უკრაინის ქლაქ ნიკოლაევი ან სულაც ფოთისა ან ბათუმის პორტებში, ეს მნიშვნელოვნად გაძლიერებს ქართული სანაპიროსა და საჰაერო სივრცის (დასავლეთ საქართველოს თავზე მანც) კონტროლს.

ირაპალი ალადაშვილი



ახალგორი ოშიდან ერთი წლის შედეგ



სოფელ ახმაჯის ხიდი



ახალგორის გზა,
2009 წლის ოქტომბერი

2008 წლის აგვისტოს ოშში რუსმა ოკუპანტებმა ახალგორის რაიონი დაიპყრეს და ადგილობრივი მოსახლეობის ნების წინააღმდეგ ცხინვალის ხელისუფლებას დაუბრუნებდნარეს.

ახალგორის რაიონში მცხოვრებ დაახლოებით 8 ათასი მოსახლიდან 90% ქართველი იყო და ომის შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა იძულებით მშობლიური ადგილები დატოვა და ევროპაში გადასახლდა.

პირველ რიგში კოკითმა, როგორც ლენინის სახის გამგრძობელმა და „დიდმა რევოლუციონერმა“ – რაიონის ძველი კომუნისტური სახელი ლენინგორი დაბრუნდა, მაგრამ მოსახლეობა ამ სახელს ყურადღებას არც კი აქცევს.

რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებზე რუსეთის საოკუპაციო ჯარების ქვედანაყოფები და მძიმე ვაგონტანკები განლაგდა. დროდადრო საზღვარზე რუსეთთან ერთად კოკითის მილიციელებიც იდგნენ და თბილისსაკენ მომავალ მოსახლეობას ფულს სძალავდნენ.

მიმდინარე წლის 30 აპრილს ცხინვალის რეგიონში რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამსახურის მესაზღვრეები შემოვიდნენ და 15 ივლისიდან საქართველო-ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრის პერიმეტრი დაიკავეს.

მიდინარე ქმნის კალაპოტში ტანკები და სხვა მძიმე ტექნიკა ადარ დგას, მაგრამ ახალგორის ვახუშტი ახვლედიანი საკონტროლო-გამშვები პუნქტი გამოჩნდა. ჯერ



ახალგორის გზა,
2008 წლის
ოქტომბერი

ჯვარობით ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ახალგორისა და სოფელ ახმაჯის მიმართულებით შეუფერხებლად გადაადგილდებოდა, თუ საბუთები და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები წესრიგშია.

სოფელ ახმაჯიდან დამაკავშირებელ ხიდის ბოლოში რუსეთის სამხედროვანი დროშა არის აღმართული, რომელიც გეგფროსხილებს, რომ ამის ექით უკვე რუსეთის სამფლობელოა.

ახმაჯის ცოტა ზევით შეუიარაღებელი თვალთვალ კარგად ჩანს მესაზღვრეთა 6 დიდი კარავი.

რუსული სასაზღვრო ქვედანაყოფები კონტრაქტით მომსახურე პერსონალით არის დაკომპლექტებული და მათ შორის ჩრდილოეთკავკასიელებიც არიან. ასეთიანად რუსეთი ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენის გამოჩინებასა და „შევიდობისმოყ

ვარე“ რუსი ჯარისკაცის სახელის დამკვიდრებას ცდილობს.

სანდახან რუსებს, როცა დაღვევის სურვილი მოეხდებოდათ ადგილობრივ მოსახლეობას სამხლისათვის აწუხებენ. დამით სროლები თითქმის ადარ იმის. ამასთან შედარებით ფედერალური უშიშროების სამსახურში დისციპლინა ბევრად უფრო მაღლა დგას.

ახალგორიდან თბილისამდე მგზავრობისათვის ნახევარი საათი საკმარისია, ხოლო ცხინვალთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა მინერული-მინერულია და მგზავრობას რამდენიმე საათი სჭირდება.

ახალგორის მოსახლეობასთან სურვილის გაჩენა, რომ კოკითის რეგიონ ტერიტორიის გატანა-შემოტანაზე გადასახლების შემდეგ და მ გზით ბოუეტის შეესხას აბრებს.

რაიონის ცხინვალისგან გამოზღვრული კოკითის ხალხი განავებს, რომლებსაც უფრო მეტად პირადი კეთილდღეობა და ანგარება ამობრავებთ. ასეთი ადამიანებისაკენ კი ევლოფერია მოსალოდნელი. შემის დასამაზღვრებლად დაკავებული ქართველი მოსახლეობის ბოლოდროინდელი შემთხვევებიც ამის მკაფიო მაგალითია.

თამარ ჩაჩანიძე

რუსული პროპაგანდის კიდევ ერთი დეზა!

რუსეთ-საქართველოს ომი პოლიტიკურ-დიალოგატურ თუ საინფორმაციო ფორმებზე ისე მიმდინარეობს და, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

რუსულ პროპაგანდისტულ მანქანას სულ უფრო უჭირს თავისი პოზიციების გასამტკიცებელი „ობიექტური“ ინფორმაციის წარმოდგენა და მოუღწევს ვინცეც ამახინჯებს, რისთვისაც ხშირად თავისი ნაოქმედარის საქართველოზე გადმობრალევის ძველ და ნაცად ხერხს მიმართავს.

საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობისა და მსოფლიოს შეცდომაში შეყვანაზე გათვლილი ეს მეთოდი, ალბათ, უფექტსაც იძლევა. ომის ყველა წერილმანსა თუ დეტალში ჩახედვა ადამიანისათვის მხოლოდ, მაგრამ ვიზუალური მხარეები მჭისეირებაში დიდხანს რჩება.

უკვე მერამდნელ რუსი პროპაგანდისტები გორის დაბოძების ამსახველ ფოტოებს ცხინვალად ასაღებენ და ქართული მხარის დაუნდობელ მოქმედებათა ხასიათის ხაზგასმას ასე ცდილობენ.

ამჯერად ამ მეთოდს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჟურნალმა **Зарубежное Военное Обозрение**-მ მიმართა.

რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავთან დაკავშირებული ინფორმაცია ჟურნალის მერვე ნომრის 96-ე გვერდზე ფოტორაქების სახით არის წარმოდგენილი.

ფოტოებს ტექსტით ახლავს, საიდანაც შეითხველი გაივებს, რომ 7-8 აგვისტოს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაზე“ აგრესიის დროს ქართველებმა რუსი მშვიდობისმყოფელები დახვრიტეს, ასეულობით და ათასობით ოსი კი დაიღუპა-დაიჭრა.

ჟურნალში დაბეჭდილი 7 ფოტოდან ორი – რუსული ვიდეოს დაბოძილ გორის ასახავს და ქართველ ფოტოკორესპონდენტებს ეკუთვნის.

ეს ფოტოები საზოგადოებისათვის კარგად ცნობილია და ემოციის გავრცელებას მათი დათვალვით შეუძლებელია.



ფილმის გადაღებაც მოასწრეს და საზოგადოებამ 2009 წლის მარტში რეჟისორ იგორ კოლოშინის „ოლიმპუს ინფერნი“ იხილა.

ფილმის მსატკერული მიღებულბა იმდენად მძაბრეა,

რომ კრიტიკული შენიშვნები თავად ცხინვალის მოსახლეობამაც კი გამოთქვა.

მიმდევრი ფილმი რუსეთმა უკვე ბევრად წინან და სახელგანთქულ სერბ რეჟისორს, ემირ კუსტურიცას შეუკვეთა.

ცოტა ხნის წინ კუსტურიცა ცხინვალში ჩავიდა. პასპორტში შესაბამისი აღნიშვნა გააკეთებინა და დათვალვიერა ის ადგილები, სადაც, ალბათ, ფილმის გადაღებას აპირებდა. აფხაზ რუსეთის საპატრიარქომ სერბი რეჟისორი მართლმადიდებელ ერებს შორის ერთიანობის განმტკიცებისათვის ალექსი II-ის პრემიით დააჯილდოვა.

ყველასათვის მოულოდნელად სამშობლოში დაბრუნებულ კუსტურიცამ ფილმის გადაღებაზე უარი თქვა და მძუხვად მოუცლილობა დაასახელა.

თეიმურ ჩაჩანიძე

ჟურნალი, რომელიც ჩრდილო და სამხრეთ ოსეთ ერთმანეთსთან ვერ ასხკავებს, მკითხველს ეუბნება, რომ ქართველი ცუდი და დაუნდობელია. ამის დასამტკიცებლად კი გორში რუსული ბომბების მსხვერპლთ „მძინარე ცხინვლის“ მოქალაქეებად ასაღებს.

კრემლის ანტიქართული პროპაგანდის მთავარი მიზანია ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლის მუდმივად შენარჩუნება, ხოლო ამ დროს ძა ვინაია კი „ეყოლი“ ადამიანის როლს თამაშობს.

ამ მიზნისათვის რუსეთი სხვადასხვა საშუალებასთან ერთად კინემატოგრაფიასაც იყენებს.

რუსებმა აგვისტოს ომზე დოკუმენტურ ფილმებთან ერთად მხატვრული



კავკასიური მოვლენები



აზერბაიჯანში დამზადებული მსხვილკალიბრიანი შაშხანა IST-14,5 Istiglal-ი

აზერბაიჯანი

● აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაღმებისაგან გასუფთავების ეროვნული სააგენტოს (ANAMA) ინფორმაციით, სექტემბერში 2710014 კვმ ტერიტორია ფოქებადსაშაში საგნებისაგან გაიწმინდა. აღმოჩენილ-გაუვნებელეებულა 10900 ჭურვი და ნაღმი. საშუალოდ 425 განაღმებული და დამხმარე პერსონალიდან 115 კაცი მონაწილეობდა. მათ განკარგულებაში იყო 5 განაღმები მანქანა და 30 ფოქებადსაშაში საგნების აღმოჩენაზე გაწვრიანილი ძალი. ANAMA-მ სულ 112975482 კვმ ტერიტორიაზე 488507 აუფოქებელი ჭურვი და ნაღმი აღმოაჩინა.

● თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო 2010 წლიდან მიღწინებულ მსხვილკალიბრიანი სნაიპერულ შაშხანა IST-12,7 Istiglal-ის წარმოებისათვის უწყალებს. შაშხანის კალიბრი 12,7 მმ-ს, წინა კი 15 კგ-ს შეადგენს. შაშხანა, რომლის წარმოება 2008 წლიდან დაიწყო, აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებსა და ექსპორტზეა გათვლილი. მისი სტანდარტული ვერსია IST-14,5 საბზნეს 3000

მეტრზე ანადგურებს. შაშხანის დემონსტრირება პირველად სტამბოლში, გამოიყენა IDEF-2009-ზე შედგა.

სომხეთი

● სომხეთი აზერბაიჯანში ISAF-ის ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ განცხადება NATO-ში სომხეთის მისიის ხელმძღვანელმა სამკველ მკრტიჩიანამ გააკეთა. სომხეთი მშვიდობისმყოფელები კონტროლზე უწყნარებს აეროპორტს აიჭვენ.

ჩრდილო კავკასიის კვირის

● რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ და რეგიონული ოპერატიული შტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა არკადი ივლეოვმა ისევ განაცხადა, რომ ანკისის ხეობაში რამდენიმე ათეული ბოვიევი სამკურნალოდ იყო ან გადასვლას ცდილობდა.

● 13 ოქტომბერს ეროვნული ანტი-ტერორისტული კომიტეტის სხდომაზე რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის დირექტორმა ალექსანდრ ბორტ-

ნიკოვმა საქართველოს მორიგე ბრალდება წაუყენა. მისი თქმით, საქართველოს სპეცსამსახურები „აღ-ქაღას“ ტერორისტებს წყნეთში გადასულაში ეჭმარებთან და დაღესტანში იარაღის შტრანში მონაწილეობენ. ბორტნიკოვის ინფორმაციით, წლის დასაწყისიდან ჩრდილო კავკასიაში ბანდოწირებების 178 წევრია დაკავებული. მათ შორის ერთი ალბერეულია, ის დაღესტანში ტერორისტთა საქმიანობის კორინდინაციისათვის გამოიგზავნა. განვილი პერიოდში ასევე მიხერხდა 45 ტერაქტის აღკვეთა, ხოლო ინგოვუშვი მიწვიბოლი თუდასხმის საქმე გახსნილია და მისი ორგანიზატორები, ე.წ. ინგოვუშვი გამაათის მთავარი მორტეო და ალიევი 22 ივნისს რუსეთის სასამართლოს დროს დახვრიტეს.

● 13 ოქტომბერს ნაღმიევი პატივი მაიკეს სამსახურებრივი მოულობის შესრულებას დროს დაღუპულ ძალიერის სტრუქტურების თანამშრომელთა ხსოვნას. 2005 წლის 13-14 ოქტომბერს ნაღმიევის დაახლოებით 200-მდე მებრძოლი დაესხა და სუდა შინაგან საქმეთა და ფედერალური უშიშროების სამსახურის საქალაქო სამმართველოს, აეროპორტი-სა და სხვა მობიექტების დაკვეთა. შტუკე-ბაში 35 მიბიევიანი, 15 მშვიდობიანი მიქალაქე და დაახლოებით 100-მდე შუერეკებელი მებრძოლი დაიღუპა. მოვკანეთში თუდასხმამი მონაწილე 58 პირის დაკვეთა მიხერხდა. როგორც გამართულ მიბიეგზე ერთ-ერთმა გამოსვლეულმა თქვა, ორევი მზიდან მჭები, ჭები, მჭიბილით თუ ნათესალები დაიღუპნენ და ეს მობიე ხაღბის ტრაგედიაა.

● რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, არმიის გენერალ რაშიდ სურგალიევის თქმით, 2003 წლიდან ძალებზეა ჩრდილო კავკასიაში 2186 ბოვიევი განაღდგურეს და უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან კავშირისათვის 6295 კაცი დააკვეს. გაანადგურეს ან დააკვეს ბანდოწირე დაკვეთებების 364 მჭიერანი ან ლიღერი, ხოლო უცხო ქვეყნებდან შემოსული 43 პირის საქმიანობა დაიკვეთა. ამოღებულია 9500 ცეცხლსასროლი იარაღი, 20 ზლით გადასატანი საწვინო-სარაკრო კომპლექსი, 252 ცეცხლსატორიევი, 5 ათასზე მეტი უმმარსატორიევი და 54500 უმმარსატორიევის გასროლა, 20 ტონა ფოქებადი მასალა, 3 მილიონ 500 ათასი ვაზნა, გააუწყებლეს 59 ათასი ჭურვი და ნაღმი. წინააღმდეგობა ნებაყოფლობით შეწყვიტა და ამნიცტა შეიქი 1125 კაცი, მათ შორის შეიარაღებუ-

ჩრდილო კავკასიაში დამაბულობა არ კლებულობს




პირობა...

ლო ჯგუფების 20 შეიარაღებულ მხარდამხმარებელს არ დაუკონკრეტებია შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაკარგი, მაგრამ დაცხინა, რომ სიკვდილის შემდეგ სხვადასხვა ვიდეო 634-მა ინანაშრომელმა და სამხედრო მოსამსახურემ მიიღო.

● 2008 წელს ჩრდილო კავკასიაში 243

სოფელ დმენისთან განთავსებული ოკუპანტების სასახლეების განვითარება



აფხაზეთში რუსეთის საოკუპაციო ჯარების მესახლეობები ისევ კარგადაა ცხოვრობენ



ბოვეიკი განადგურდა, ხოლო მიმდინარე წლის 8 თვეში კი — 237. როული მგლო-მარეობა ინგუშეთში, ჩეჩნეთა და დღევანდელ პრეზიდენტმა კრასნოდარის მხარეს და ასტრახანის ოლქშიც. ასეთი განცხადება გააკეთა რუსეთის გენერალური პროკურატურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ არტემ მელნიკოვმა. მისი თქმით, წლის დასაწყისიდან ამოღებულია 500-ზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი, 180 თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა და 2 ტონაზე მეტი ფეთქებადი მასალა. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ჩრდილო კავკასიაში

იარაღის შესვლის საორიენტაციო არხები აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ასევე სამხედრო ნაწილებისა და შინაგან საქმეთა ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილები.

სოფლისა და რეგიონის

აფხაზეთი

● 1-ელი ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სოხუმის ხელისუფლება შიარალბუღ ფორმირებებში სამსახურისათვის 18-დან 27 წლამდე ასაკის 450 წევრად აღსანიშნავს.

● 14 ოქტომბრის ოპერაში რუსეთის სახაბრო დაცვის კიდევ ერთი საპატრულო ხომალდი ПСКР-925 „აბაღლევი“ (პროექტი 10410) ბორტი №044 შემოვიდა და ზღვაში პირველად გასვლისას თურქული სენიერი Хадгарათი დააკავა.

● „აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ძირითადი საინჟინერო ნაგებობებისა და სამხედრო დასახლებების მშენებლობა 2010 წლისათვის არის დაგეგმილი“, — განაცხადა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის აფხაზეთის სასახლეო სამმართველოს უფროსმა, გენერალ-მაიორმა იური ზვირიკმა. ბაღდათის წარმომადგენელი გალის რაიონში რუსულ ქაშინარა კი ადასტურებს, საზღვრებზე ყველაფერი წესისამებრ იქნება, — მყოფულხართობი, სენალობაზეა, ხოლო ნაღმების გამთქვენებას არ აპირებენ.

ცხინვალის რეგიონი

● ორ წელიწადში რუსეთის სასახლეო სამსახური ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებზე 20 სამხედრო დასახლების, 4 სასახლეო განყოფილებისა (დმენისის, ჯივის, ზნაურისა და ახალგორის რაიონებში) და 15 დასახლებული პუნქტის ქვეანყოფილებისათვის ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას აპირებს. სასახლეო სამმართველო ცხინვალში განთავსებული. შესახვედრეთა სამხედრო დასახლებაში აივება საერთო საცხოვრებლის ტიპის შენობა, სამსახურებრივი და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებელი კორპუსები. ობიექტებს ჩეჩნეთის მოქალაქეები ააგებენ. რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ცხინვალის რეგიონის სასახლეო სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ ალექსანდრ მურზინის თქმით, სახლეის დაცვის გაძლიერებასთან ერთად კონფლიქტური სიტუაციები სულ უფრო იშვიათი ხდება.

თამარ ჩაჩანიძე



თმის ბალანსირების კლინიკა

თალიზი



მსოფლიოს ბევრი დიდი თუ პატარა ქვეყანა ვერ დაიკვებინა იმ დიდ წვლილსა და ღვაწლს, რომელიც ჩვენმა პატარა ქვეყანამ შეიტანა მსოფლიო ავიაციის ისტორიაში. უცნაური და დაუდგრომელია ქართველი კაცის ხასიათი, მისი სწრაფვა ყოველივე სიახლისაკენ. მსოფლიო ავიაციის ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი საინტერესო მოვლენა ან წამოწყება, რომელზეც რეაგირება არ მოეხდინა და მონაწილეობა არ მიეღო ქართველ კაცს. მას აქვს ყველა ის თვისება, რომელიც აუცილებელია ავიაციის რთული და სახიფათო საქმისთვის.

ავიაციის ისტორია სათავეს იღებს 1903 წლის 17 დეკემბრიდან, როდესაც მძევი ულბერ და ოლივერ რაიტები თავიანთი პატარე მძიმე კონსტრუქციის საფრენისო აპარატი იაბრუნენ ცაში. ფრენა სულ 59 წამს გაგრძელდა, მაგრამ ეს იყო მსოფლიო მასშტაბის დიდი მოვლენა, - ავიაციის ისტორიის დასაწყისი.

მანამდე კი ადამიანების ყველა ცდა, მოწყვეტილიყვნენ მიწას და ეფრინათ, უშედეგოდ, მარცხით მთავრდებოდა. მხოლოდ 1783 წლის 5 ანგარს საფრენავეოში, ლიონთან ახლოს, მძებმა ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიერებმა პირველად შეძლეს აფრენა საჰაერო ბურთის საშუალებით, ხოლო 1902 წელს პოლკოვნიკმა ბარათაშვილმა იმ დროისათვის რეკორდული, 5910 მ სიმაღლე დასძლია საჰაერო ბურთით.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ფართოდ დაიწყო პლანერობით გატაცება. პლანერით პირველად გერმანელი ოტო ლილიენტალი გააერინდა, ხოლო 1908 წლის 5 მაისს ქართველი ალიომა შიუკაშვილმა თავისი კონსტრუქციის პლანერით აფრინდა თბილისში, მახათას მთის მდამოებში.

1904 წელს ფრანგმა მფრინავმა და ავიაკონსტრუქტორმა ლუი ბრელომ პარიზში დააარსა პირველი საფრენისო სკოლა, რომლის პირველი ქართველი კურსანტი გახდა თბილისის რკინიგზის სახელმწიფოს ტექნიკოსი ბესარიონ ქეპურია, რომელმაც 1910 წელს სკოლა წაწინაშე დაამთავრა. მას ქართველი ავიაციის პიონერს უწოდებდნენ. რამდენიმე სიტყვა ბევრისათვის უცნობ ქართველ ავიაკონსტრუქტორზე ალექსანდრე ქართველიშვილზე. დაბადა ქ. თბილისში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1911 წელს, პარიზში მიიღო პილტაის განათლება; სამშობლოში დაბრუნების შემ-



სოხუეის აეროპორტი 80 წლისაა

დგე, 1919 წელს, იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. დაამთავრა პარიზის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. 1927 წლიდან მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში წამყვან ავიაკონსტრუქტორად. მისმა საკონსტრუქტორო ბურომ შექმნა ბევრი მოქმედი რეაქტიული საფრენი აპარატი სამხედრო ავიაკავიაში. მათ შორის ზებეგურიით ატომზხიდი „რეაქტიული მეხი“. მისი საქმიანობა და პიროვნება მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. აქვე მინდა მოვიყვანო ქართველი ავიაკონსტრუქტორების ვაგრები, რომლებმაც დიდი როლი თამაშეს საბჭოთა ავიამშენებლობის განვითარებაში: ალექსანდრე შუკაშვილი, გიორგი ბერიანშვილი, რობერტ კინოსაშვილი, ნიკოლოზ მეტეკარიშვილი, მიხეილ გრიგალაშვილი და სხვანი.

1910 წელს ბესარიონ ქეპურამ ავიაციის პოპულარიზაციის მიზნით ფრენების

სერია თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ხონში და სხვა რაიონებში შეასრულა. ეს იმ დროისათვის დიდი მოვლენა იყო.

1923 წლის 5 მაისს დაფუძნებული „ზაკავიას“ ინიციატივით 1923 წლის 10 მაისს შესრულდა პირველი სამეზავრო ავიარეისი თბილისი-მანგლისის მიმართულად. 30-ანი წლების დასაწყისში საქართველოში იყო საკმაოდ ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კადრები, რომ შექმნილიყო ორი დამოუკიდებელი ავიაციის სამმართველო. 1931 წელს შეიქმნა ამერკავკასიის საჰაერო მიმოსვლის სამმართველო, რომლის დაქვემდებარებაში შედიოდნენ თბილისის, ბაქოს, ერევნის, სოხუმის, ქუთაისის, გროზნოს, ვლადიკავკასიის, სოჭის, მინერალური წყლების, დერბენტისა და პატიგორსკის აეროპორტები, 1933 წელს კი სოფლის მეურნეობის ავიაციის სამმართველო, რომლის ამოცანა იყო სასოფლო-სამეურ-

ნეო კულტურების მაცნელებთან ბრძოლა და მალარიის ლიკვიდაცია.

სწორედ ოცდაათიან წლებში დაიწყო სამოქალაქო ავიაციის სწრაფ განვითარება. ამ დროისთვის დაფინანსდნენ სამხედრო წარმოების თვითმფრინავებით: K-4, K-5, PO-2. ათვისის ფრანგ მალავიანთან რაიონებში – მესტისა, ომალო; დაიწყო აეროდრომების, აეროპორტებისა და საჰაერო ხაზების ფართომასშტაბიანი მშენებლობა.

1934-35 წლებში აეროკლასის სასწავლო კურსი დაამთავრეს პირველმა ქართველმა ქართველმა ნინო ხუბულავამ და რუსუდან ქორღანიამ, პირველმა აჭარელმა ქალმა ფაიკო ვაგიშვიტმა და პირველმა აფხაზმა ქალმა მერი ავიამამ.

1938 წელს ამბერცეკასიის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა სამი რესპუბლიკის დამოუკიდებელი სამმართველო. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სათავეში ჩაუდგა სახელიანი მამულაშვილი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სამხედრო სამოქალაქო ავიაციის განვითარების საქმეში და რომელმაც მთელი ცხოვრება, ენერჯია, გამოცდილება და ნიჭი ამ საქმეს მოახმარა. ეს იყო შალვა ჭანტოხტა (გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი).

ათვისის ახალი ტიპის თვითმფრინავები: AN-2, LI-2, IIL-12, ობლინი-მოსკოვის ავიახაზებზე ათვისის რეგულარული ფრანკ თვითმფრინავით IIL-14 როსტოვში ერთი დაჯდომით. ფრენის ხანგრძლივობა შემცირდა 8 საათამდე. მაშინ ეს სარეგულარო მარშრუტები იყო. 50-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში მოხდა კიდევ ერთი ღირსშესანიშნაო მოვლენა, – ავიატრასეზზე ფრანკ დაიწყო რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავთა Ty-104-მა. საქართველოს ავიატრასეზს წილად ხვდათ ბედნიერება, გამწვანდნენ Ty-104 თვითმფრინავის ათვისების პიონერები.

ქართველმა ავიატრასეზმა ერთ-ერთმა პირველებმა ათვისის პირველი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი Ty-104-ით ფრანკ და ასრულდნენ რეისებს მსოფლიოში. ეს მოხდა უფრო ადრე, ვიდრე აშშ, ინგლისი და საფრანგეთი დაიწყებდნენ ფრენას „ბონინით“, „კომეტითა“ და „კარავალით“. ეს უპირველეს ყოვლისა, განაპირობა მფრინავთა მალავამ პროვესიონალიზმმა. მაქსიმალურ რეკორდულ მარშრუტებს სამმართველომ 1989 წელს მაილწია. ამ წელს გადაიყვანეს 2 მილიონი 767 ათასი მგზავრი. რესპუბლიკის ყოველი მუშაკი მცხოვრები სარეგებლობდა ავიაციის მომსახურებით.

სამშუხაროდ, 1990-91 წლებშიდან

იწყება დადამსვლა. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად გაუქმდა საკავშირო სამხმისტროც. საქართველოს ავიატრასეზი მზად არ აღმოჩნდნენ დამოუკიდებელი მუშაობისათვის და მკაცრად ცენტრალიზებული დაქვემდებარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარეშე. საქართველოს დაუტოვეს ყველა ძირითადი ფონდი, მათ შორის თვითმფრინავები, მაგრამ ტექნიკის დიდი ნაწილი ამორტიზებული იყო და ექსპლუატაციის პერსპექტივა არცთუ ისე სახარბიელო იყო. ამას დაემატა საომარი მოქმედება აფხაზეთში და ამით გამოწვეული დიდი მატერიალურ-ტექნიკური ზარალი, არასტაბილური მდგომარეობა და შიდაშლილობა რესპუბლიკაში. მიუხედავად ამისა, საქართველოს საჰაერო ტრანსპორტს ერთი დღითაც არ შეუწყვეტა მუშაობა, შეეცაზნებლად ასრულებდა სამგზავრო-სატვირთო გადაზიდვებს, სამთავრობო, სამაშველად და სხვა სახის საავიაციო სამუშაოებს.

სოხუმის აეროპორტი, როგორც თელავის, ერთ-ერთი ძველი საქართველოში. ის 1929 წელს აშენდა, როცა მოსკოვი-ხარკოვი-თბილისის მიმართულებით ტრასის გახსნა მზადდებოდა. სოხუმის პირველი აეროპორტის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ვ.ს. ქეზერია. ქალაქის იპოკრატე მაშინ ასაფრენ-დასაფრენ ბილიცად გამოიყენებოდა. ქეზერიამ ძლივს იშოვა თანხა ერთსართულიანი ხის სახლის ასაშენებლად, სადაც იყო მგზავრების მოსადგომი დარბაზი, ოთხი მაგიდა, ბუფეტები, უფროსის კაბინები, რადიოაერატორის ოთახი, საღარი, ბუღალტრია, წითელი კუთხე, მუღალტეხტი და სასტუმრო 8 კაცისათვის. აეროპორტი ექსპერტურება K-1, K-4 მარკის თვითმფრინავებს, უფრო მოვანიებით PO-2-ს, ისიც მხოლოდ დღისით.

1934 წელს შეიქმნა ავიარაზი, რომლის პირველი მეთაური იყო ტარლამინიკო. თავდაპირველად რეისები სრულდებოდა ქუთაისის, თბილისის, სოჭისა და ფსხუს მიმართულებით.

მეორე მსოფლიო ომის დროს სოხუმის აეროპორტმა დიდი როლი ითამაშა. სამხედრო ნაწილებში PO-2-ით აქედან იგზავნებდნენ ტყვე-წამალი, ტანსაცმელი, პროდუქტები, მდიკამენტები.

რადგან ზამთრით თვითმფრინავების მიღება შეუძლებელი იყო, ამიტომ აეროპორტში სხვა ავდილის გადაიტანეს, გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშავაში. 1949 წლის მაისში სოხუმის აეროპორტში შეიქმნა სატრანსპორტო ავიარაზი, რომელიც შედგებოდა PO-2-ისა და LI-2-ისგან. რაზმის მეთაურად დაინიშნა

ე. ვ. ამარალი. LI-2-ით რეისი სსრკში-დებოდა წყალტუბო-მოსკოვი, ბათუმი-ოდეხსას, სოხუმი-თბილისის, სოხუმი-ერევანი-სოჭის, ფსხუს მიმართულებით. 1952 წელს სოხუმის აეროპორტმა მიიღო AN-2, ხოლო 1954 წელს IIL-14. 60-იან წლებში IIL-14 შეცვალა AN-24-მა, ეს უკანასკნელი Ty-134-მა. აეროპორტის უფროსები სხვადასხვა დროს იყვნენ: დავით თავაძე, შოთა ცაგინტაძე, ვასილ ბონაროვი, როდინ ტარკილი, ი. ლატარია, ზაურ ხაინდრავა.

სოხუმის აეროპორტი პოსტსაბჭოთა სერვეში ერთ-ერთი სამავალიოთ იყო. მისი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის სიგრძე 3640 მეტრია, სიგანე – 52,5 მეტრი, სისქე – 48 სმ. მას ნებისმიერი თვითმფრინავის მიღება შეუძლია, ამინდი ოთქ-მის ყოველთვის იდეალურია. თუმცე, როცა სოხუმის აეროპორტმა მოსკოვიდან IIL-86-ის მიღება დაიწყო, ხანდახან დაბრკოლება იქმნებოდა. მაგალითად, უმინდობის გამო იკეტებოდა სიმფეროპოლის, სოჭის, მინერალური წყლების აეროპორტები და იძულებული ვყავით, IIL-86-ის რეისები მივეყენა. საბოლოოდ არცთუ ცოტა თვითმფრინავი გამოიდიოდა. არადა, სადგომი სულ (IIL-86-ისთვის) 4 იყო.

აფხაზეთის ომის დროს თავი ისახველს თბილისისა და სოხუმის ეკიპაჟებს. სოხუმის ავიადისპეტჩერები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მთელი პერსონალი, ვინც მუშაობდა ომის დროს, ყველა პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობებს.

დღეს მფრინავთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ავია-დისპეტჩერების დიდი ნაწილი უმუშევრია. ავიატრასეზის სოციალურმა პირობებმა კრიტიკულ ზღვარს მაილწია, ბევრი დამსახურებული მფრინავი, ავიადისპეტჩერი, რომლებიც თავის დროე კლიტურ ფუნქსიონირებდნენ, არ აუღლია პატივი და დაეცა, სიდატაკის ზღვარზე ცხოვრობენ. მაგალითად, მე. 49 წლის სტაჟის მქონე სპეციალისტს, აქედან 44 წელი ავიაციამ ვამსახურე, იმდენ პენსიას მაძლეობენ, რამდენსაც იღებს ყველა ის მოქალაქე, რომელსაც ერთი დღეც არ უმუშავია.

ვისარეგებლეს შემთხვევით და ფურნალ კარსენალის“ მეშვეობით ვულოცავ 80 წლისთავს სოხუმის აეროპორტის ყოფილ თანამშრომლებს, ავრეივე ამ ავიატორებს, რომლებსაც ურთიერთკავშირი ჰქონდათ ავიარეისების უმსრულეობაში.

**სოხუმის აეროპორტის
ფრენების ყოფილი
ხელმძღვანელი
ზაურ მახინია**

„ჩვენი ქვეყნის საღვრეო სახლი ფეხითაც დავდგებო“ 20 წლის ქართველი ჯარისკაცის მონათხრობი მხინვალის ომზე

19 წლის რიგითი გიორგი ჯაბახიძე ცხინვალის მისადგომებთან საბრძოლო დავალების შესრულების დროს რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად საავიაციო დაბომბვაში მოყვა და მარჯვენა ფეხი დაჟარდა. მას შემდეგ ერთი მძიმე წელი გავიდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცს ყურები არ ჩამოუყრია, ფეხის პროთეზსაც შეეგუა, ოჯახიც შექმნა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ახალი კონტრაქტის გაფორმებასაც აპირებს. იგი დღეს ჩვენი ჟურნალის სტუმარია და ცხინვალის ომზე მოგვითხრობს:

— საავადმყოფო სამხედრო სამსახურში არ წავსულვარ. საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან 4-წლიანი კონტრაქტი 2007 წლის 6 აგვისტოს, მეთოხებრივად სამხედრო ბაზაში სადაზვერუო ასეულში ნორმატივებისა და ორკვირიანი უძმბისეი კარანტინის გავლის შემდეგ გააფორმე. კარანტინი მძიმე იყო, მაგრამ გაუფელე. კონტრაქტის დადებიდან ზუსტად წლისთავზე კი ომი დაიწყო...

მანამდე საქმოდ კარგი მომზადება გავიარე. ვცვლავ საუკეთესო და საფუძვლიანი სწავლება ბერაგლების რთობის სადაზვერუო მომზადება იყო, რომელიც სენაკის სამხედრო ბაზაში მიმდინარეობდა. შემდეგ კი ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, ვაზიანის სამხედრო ბაზაში სწრაფი რეაგირების კურსები გავიარე. ერთი კვირის განმავლობაში. ძირითადად, განაღმბით სამუშაოებს ვასრულებდით (მანქანების ჩხრეკა, ჩეკაინტენსია, ავთოტელეფონი მანქანის გარშემო ნებისმიერი დეტალის შესწავლა და ა.შ.). სწავლებების დროს განგვასაც ხშირად აცხადებდნენ, ანუ ნებისმიერი მომზადება რეალურ ომთან იყო მიახლოებული.

ხშირად ფიქრობ ერთი წლის განმავლობაში განვიღო წრთობებზე და ხვდები, რომ ბერაგელი სამხედროების ხელმძღვანელობით სწავლება რომ არ გამეცლო, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი. სასწავლო კურსებმა ძალიან დიდი გამოცდილება



შექმინა.

— რაც რეალური ომისთვის ფიქიოლოგიურ მომზადებასაც გულისხმობს?

— დაბ. ვარისკაცი ომისთვის ყველთვის მზად არის, მაგრამ მაინც არ გვერნა, ვცვლავრე ასე უცებ თუ მოხვდები... რეკა განგაში გამოცხადდა, ირალი ავისხით, სამხედრო მანქანებში ჩავსხედით და ცხინვალისკენ წავედით. თუც მაინც არ გვეჯეროდა, რომ ომში მივდილით. გვეჯერო, მორიგი შეტევა იყო და ვცვლავრე ერთ დღეში დასრულდებოდა.

ჩვენი სადაზვერუო ასეული ავარის რაიონში, სოფელ ქვენატკოვკაში შეტედა. ბრძანების თანახმად, ბრიგადისთვის უნდა მოგვექმნა აფელი, სადაც გაჩერდებოდა და შედეგ სამოქმედო გეგმის შემუშავება. მეთაურების მიერ სამოქმედო გეგმის შედგენის შემდეგ, გორის მხრიდან ოსურ სოფლებში შევედით.

— ამ დროისთვის იქაურობა დაცლილი იყო?

— დაბ. იქაურობას უკვე არტილერია ბომბავდა. გზადგზა ხალხიც გვხვებოდა, მაგრამ ვერ ვაიგებდი, სამოქალაქო პირები იყვნენ თუ სამხედრო, გაურკვეველად ეცვლა, სამხედრო შარავლი, ბოტასეზა და მასხური (სოფლების სახელები არ მახსოვს)... რამდენიმე სოფელში ცეცხლიც გავაიგებინე, მაგრამ ვერ ვიტყვი, ჩასაფრებიდან გვესროდნენ-მოუტო. საიდანაც ერთი კაცი გამოვარდებოდა და სროლას დაკვიწყებდა, მისი მოგერიება ასეული-სთვის პრობლემა არ იყო...

7 აგვისტოს დამე ერთ-ერთ ოსურ სოფელში გაკითხეთ. ჩვენი მახლობლად რუსების საგუშაგო იყო. ისინი ვერ გვხვდებოდნენ, ჩვენ კი მთელი დამე უთუვალოდავდით.

— რას აკეთებდნენ?

— საინტერესოს არავყვნი. სამი თუ ოთხი კაცი იყო, ორი კარავი ედგათ და ერთი ჯავშანტრანსპორტიორი ჰყავდათ. როცა გათინდა, დავგინახეს და ჯავშანტრანსპორტიორი დაჭოქეს, მაგრამ რომ დაინახეს ბერენი ვიყავით, ისე კარგვნი

შებენდნენ... ჩვენმა მეთაურმა, კაპიტანმა (იმის შემდეგ მას მაიორის წოდება მიანიჭეს) ჯერად თოდუმ გაგვეფრთხილა, რუს სამშვიდობოს არ ესროლოთ...

სოფელი თითქმის დაცლილი იყო. თუ ერთი-ორ ჩონჩხი ჯარისკაცს არ ჩავიხედო, რომლებიც გვესროდნენ... „ჩონჩხას“ მხოლოდ ჩაცმულობის გამო არ უწოდებ, იმდენად ცუდად იყვნენ მომზადებული, რომ ტილებამდე შეიარაღებულნი ასეულის წინააღმდეგ მარტო მოდიოდნენ. ავტომატი ხელში გამოხტებოდნენ და გვესროდნენ... რამდენიმე მოკლული ოსი ჯარისკაციც ვნახე, რუსული სამხედრო ფორმა ეცვათ, უშეტესობას ფეხზე ბოტას ან კლი ეკვც.

რა იარაღი ჰქონდათ?

— ძირითადად, ეს-ვეღე და ა-კა-უხი... ჩვენც ა-კა-უხი გვეყრდა... წინ ჩვენი სადაზვერუო ასეული მიდიდა, უკან დაზვერვის ბატალიონი მოგვეყვებოდა, მათ უკან კი 42-ე ბატალიონი (რომელსაც იმის შემდეგ ცვლავზე მეტი დანაკარგი ჰქონდა). წვრთნილი მეტ-ნაკლებად ყველას გაეილი გვექონდა, მაგრამ შვენიშენი, რამდენიმე ჯარისკაცზე დახოცილებს დანახვამ ცუდად იმოქმედა, მათ შორის, ჩემზეც. თავიდან ყველანი დავიძობეთ, მაგრამ მალე შევეჩვიეთ და ყველაფერი თავისთავად აქვყო. ორრიგად გაგვეყვს და ერთმანეთის გვერდით მივიდიეთ. ოთხ საათზე მეტხანს შეუჩერებლად ვიარეთ და თუ არ ვცდები, 8 ოსური სოფელი გამოვიყრი. ამ ხნის განმავლობაში ინტენსიური ბრძოლები არ ყოფილა, მხოლოდ შიგადაშვი იყო სროლა. როგორც კი ცხინვალს მივადექით, ვითარება შეიცვალა, — მასობრივი ცეცხლი გაგვისხსნეს, ტვიმარფქვეების ხმაც ისმოდა და მძიმე ტექნიკაც. ქალაქის შესასვლელთან ნაძვანარი იყო. ცოტა ხნით იქ შევიჩრდილეთ და მეთაურებმა ოცულებად და ათულებად დაგვეყვს (იმ ახელას ფორტები კი გადავიეთ). ჩვენ უკან ცხინვალის ტრაფარეტის ფრაგმენტები კი ჩანს). ჩვენი ოცულები უკანა მხარის ჩასაფრება-

ში გაუშვეს. ჩასაფრების ადგილიდან ცხინვალის ხელისუფლებით მიჩანდა. დანარჩენებიც ისე გადაჩანაწილეს, რომ წრე შეკრია. შუაში მეთაურები იყვნენ, რომლებიც სამოქმედო გეგმაზე თაბიბობდნენ და თან ბრძანებას ელოდებოდნენ... ეს იყო 8 აგვისტოს შუადღე. შემდეგ 42-ე ბატალიონის რამდენიმე ოცუელი ქალაქისკენ დაიძრა, მაგრამ შულევა გაუჭირდათ.

— ძლიერი წინააღმდეგობა შეხვებოდა?

— დიახ, ნაძვანარის შემდეგ ტრიალი ადგილი იყო. როგორც კი ამ ადგილს გადავლდებოდნენ, მოწინააღმდეგის ყურადღების ცენტრში მოექცეოდნენ. არც ხისხას ჰქონდა აზრი, საკმაოდ დიდი მანძილი იყო. ცხინვალის შესასვლელს კორპუსების სახურავებზე მჯდომი სნაიპერები და ტყვიამფრქვეითი შეიარაღებული მოძირები აკონტროლებდნენ. ბიჭები მანძილს წინ მოიწვეოდნენ, ბეერი დაიჭრა და გამოიფანეს...

შესასვლელთან ჩვენი დაზვერვის ასეულის 4 „საელუსი“ იდგა, რომელიც დაჭრილების გამოსაყვანად იყო მობილიზებული. მასში კი ვიკადრეთ და ჯავანთიულებში ჩავიციეთ.

— როგორც მოხიბარი, ცხინვალის ხელისუფლებით ჩანდა, რა ხდებოდათ ქალაქში?

— ძალიან აქტიური მოძრაობები იყო. ჩვენ დაეკლებინ შესრულება დავიწყეთ, არტილერიასა და ავიაციას ინფორმაციას ვაწვდიდით, სად იყო დიდი წინააღმდეგობა და რომელი ადგილები უნდა დაეიშობათ. ამ დროისთვის კავშირი თითქმის არ გვექონდა და მეთაურებს საჭირო ინფორმაციას მობილურის საშუალებით ვაწვდიდით. კავშირში შევერხება ჯერ კიდევ 7 აგვისტოს დამეს დაიწყო. 10-15 მეტრის დაშორებით მყოფ თანამებრძობლებთან დაკავშირება გვიჭირდა. როგორც კი სროლა გახშირდა, სისხშირე დაამსვენ და რაციები აღარც გამოვაყვინებია. ამ დროს ცაზე სამხედრო

თვითმფრინავები გამოჩნდნენ. დაივებით კავშირაც არ იყო, რომ გვეყვიახ, რა ხდებოდა. წინ მიმაგალ მანქანაში მსხმდები თანამებრძობებს, რომლებიც 10-15 მეტრის დაშორებით მოდიოდნენ, ვერ ვუცხადებდით...

ერთი სიტყვით, ვერაფრის დაზვერვა მოვაწვარი, არც სატელეკავლება გვექონდა, სად უნდა მიესულიყვით და რა ინფორმაცია უნდა მოგვეკრებინათ და პირდაპირ ოში ჩავყვით...

— მზად იყავით თუ არა ომისთვის?

— არ მინდა ტრამაში ჩამოძვრეთ, მაგრამ სამხედრო ბრძოლებში, ოსები ვერ მოგვეყვინებოდა. რუსული ავიაცია მასში ჩართეს ბრძოლაში, როცა ორგანიზებულიად დავიწყეთ შეტევა. მოწინააღმდეგე ამას მალე მიხვდა და ამიტომ მოქცა ასე... მართალია, ჩემი საყვიალობა დაზვერვა, მაგრამ ის, რაც მასზე ვაგვირდა, ქალაქის ბრძოლები, უსაფრთხოდ დაგვადეილება და გნახეთ, დამოუკიდებლად მოქმედება, ნანსწავლი მჭირდა და თავი ვავართვი.

შევიძობეზეც მინდა ვითხროთ, — მოიძვრები ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიდექით. არადა, ვიცოდით, რომ დისტანცია უნდა დავგვეკვა... როცა დასახლებულ პუნქტში შედიხარ, 4-5 მეტრი საკმარისია, რომ თანამებრძობის დაცვა შეძლო და შენი მოვალეობაც შეასრულო. მე-თავიც ვკავფრთხილებდა, რომ დისტანცია დავგვეკვა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა.

— რამ შეგიშალათ ხელი?

— არეულობა იყო... რეალურ ოში პირველად მოგვიწვია მონასწილებობამ, გამოუცდელიის მომენტიც იყო და ერთი სიტყვით, დავებითი. ვილაკებთ შემინდნენ, როცა ტანკი ტრიალებოდა, მასთან იმდენად ახლოს იდგნენ, რომ ტანკის ღამის თავში ხდებოდათ. თუ ტანკის გვერდით დგახარ, ერთ მხარეს მანკ ხარ დაცული, მეორეს კი შენ თვითონ აკონტროლებ და შედარებით უსაფრთხოდ ხარ... შერეო ვიფორია ჩაცხრა და თანდათან აუვლები ალოო სიტუაციას, მაგრამ ჩვენმა ორგანიზებულმა ქმედებებმა იქამდე ვასტანა, სანამ რუსული თვითმფრინავები გამოჩნდებოდნენ. ავიაციამ ყველაფერი აკმარია, რადგან პირველად ცხინვალის თავზე ჩამოყრა ბომბები და საცხოვრებელ კორპუსებს დარტყა. ვიფიქრეთ, ჩვენები არაიო და გავგებხარდა. ომში, როგორც უწის, ასე ხდება, დასახლებულ პუნქტში შესვლამდე იქაურობას ჯერ ავიაცია ბომბავს, შემდეგ ქვეითი მოვიფიარო და ვაწმინდას ვიწყობი. ამ შემთხვევაშიც ასე გვევონა, მაგრამ ცხინვალს რომ გადავარვს და იერიში ჩვენს პოზიციებზე მოიტანეს,



ებრადე ინსტრუქტორებთან ერთად, წვრთნების დროს



დავბენით. ჯერ საეიციო ქვეყნით დაგვეცხრილეს, რათა ნამებარიდან ხალხი დფინტულიყო და შემდეგ ბომბები ჩამოყარეს. როცა ომში შესს საქმეს აკეთებ და იცი, რასაც აკეთებ, ბრძოლა გიადვილდება, მაგრამ ძნელია, როცა არ იცი, რა უნდა ქნა და იმასაც ხედები, რომ ყოველი წამი მნიშვნელოვანია.

— გამოუცდელობას, ალბათ, შიშით თან ახლდა, არა?

— ცხინვალის შესასვლელთან, როცა ჩვენი ბიჭები დაიჭრნენ, შიშით ვიგრძენი. არ მრცხვენია ამის თქმისა. ვინც იტყვის, ომში შიში არ მიგრძნობია, ან გიჟია, ან დღებილი. ყოველ წამს სიკვდილს უყურებ თვალბში, გარშემო ადამიანები იხოცებიან, ტყვეები ზუზუნებს, ჭურვები სკდება და აკერში ბული დგას, როგორ შეიძლება არ გეშინოდეს?! მთავარია, შიში დასძლიო...

ერთი მომენტი მასსოვს, ცხინვალის შესასვლელთან ვისხედით და ბრძანებს ველოდით, სნაიპერები გვეხედავდნენ და გვესროლდნენ, ჩვენ კი ვერ ხვდებოდით, საიდან გვესროლდნენ. ისინი კორპუსებიდან მუშაობდნენ და შეუძლებელი იყო დაგვეჩანა, რომელი ფანჯრიდან მოდიოდა ტყვია.

— ანუ აშკარა უპირატესობას ფლობდნენ?

— დიას, ჩვენი ასეულიდან ბევრი დაიჭრა, ძირითადად, ფეხში. სნაიპერები გუინიერულად მოქმედებდნენ, არ კლავდნენ.

— ძნელი დასაჯერებელია, რომ ინდობდნენ...

— არა, გაწვრთნილი სნაიპერები იყვნენ და იცოდნენ, დაჭრილი ბრძოლას ვერ გააგრძელებდა, ფორნტის ზახიდან კი დამოუკიდებლად ვერ გავიდოდა, ორ

მეომარს უნდა გამოეყვანა. სასიკვდილო ჭრილობა რომ მიეყენებინათ, იძულებული გავხდებოდით, დაგვეტოვებინა და ჩვენი საქმე გავგვერძებებინა.

— ასე კარგად განვრთონილი სნაიპერები ოსები იყვნენ?

— არა, ჩვენები, ეტყობოდათ, რომ საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ...

— თქვენც სნაიპერის ტყვია მოგხვდა?

— არა... ინფორმაცია მივიღეთ, რომ ცხინვალში ჩეჩენი ღესანტი ჩამოსხვის და ოცეულის სერჟანტისგან ჩასაფრების ბრძანება მივიღეთ, მარცხენა ფლანგი უნდა გავგვემკვრებინა, რომ ღესანტი ზურვიდან არ მოგვპაროვდა.

— დავალებას მობილური ტელეფონით იღებდით?

— სხვა გზა არ გვექონდა, ამან კი ბევრი რამ უარესობისკენ შევცვალა.

— იმას გულისხმობთ, რომ თქვენი საუბრებიც ისმინებოდა?

— გარდა იმისა, რომ ისმინებოდა, სისმარეც არ იყო და მობილური დაკავშირებაც ვეგვიზარდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვექონდა, რაც სათქმელი იყო, უნდა გვეთქვა. ამს შეუდეგ, რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეს ბრძოლა უფრო გაუადვილდა... ის იყო, რ კაცი ვადალები-ის შესასრულებლად წაყვდით და არ ვიცი, ვიქმარეთ თუ გამოუცდელობის გამო დაგვეჭართა, ერთი სიტყვით, იქვე მდგარ გვემანტრანსპორტიორიან ახლოს ვავიბინეთ და სწორედ ამ დროს იქაურობა დაბობდა.

— ექვსივე დაგჭრეს?

— კი, მე ვველაზე მძიმედ. მასსოვს, რომ თვითმფრინავი ძალიან დაბლა მოფრინავდა, ლამის თავზე გადაგვიფრინა. ზევით რომ ავიხედე, თვითმფრინავის პი-

ლოტიც კი დაინახე, ლურჯამა მანქანა ეხურა. მერე კი იქაურობა გამაგრებულმა ხმაურმა შეშრა და დაბობის წინეამ პარეში ამისოლა. ისიც მასსოვს, სანამ მიწაზე დავეცივდი, თვალმოკარი, ჩემს დაბლა ნამსხრევებს ტყა-ცატკუცი გაუდიოდა, შემდეგ პარეში იფანტებოდა და იქაურობას ანგრევდა. თავში ვაიშლევა, ეს სად ვეცემი-მეთქი, მაგრამ სანამ მიწაზე დავეცივდი, ფეხს ში საშინელი დაბრტყმა ვიგრძენი. ძირს რომ დავეცი, ტკივილს ვერ კიდევ ვერ ვგრძნობდი, მაგრამ მივხედი, ჩემი საქმე ცულად იყო, მარჯვენა ფეხი არ მქონდა. სანამ დაბობის ტალღამ არ გადაიარა, იქ ვველა.

— სისხლდენის გაჩერება შეეძლია?

— დიას, ბენდენა შემოვიჭირე. ხელებში ძალია არ მქონდა, მაგრამ ჯობი მოვიშველიე, მერე კვინი გავაკეთე და ჯობი დავატრიალე და სისხლდენა შევიჩერე... ეს ებრაელმა ინსტრუქტორებმა მასწავლეს. ვინი რომ დამეკარგა, ვეღარ გადავრჩებოდი... როგორც კი წამოვდომა შეეძლია, ყვირილი დაიჭირა და თანამებრძოლმა, დალო ქიმაძემ მიპოვა. სამშვიდობოს მარტო ვერ ვაიხედავდა და ასეული ბიჭები ამოგაიხანა... ის ჯავშანტრანსპორტიორი ისევ იქ იდგა, ექვსი და, დაბობვას გადაურჩა, ში გეგნე ვარისკავები ისხდნენ. ბიჭებმა სხვა დაჭრულებთან ერთად მეც იქ ჩამსეს, თვითონ ცხინვალისკენ მიბრუნდნენ, ჩვენ კი ერთ-ერთი ქართულ სოფელში ჩამოგვსეს, სადაც „ლენდ როვერი“ ვველოდებოდა. იქიდან გორის საშხედრო ჰოსპიტალში წამოვიხვეს. იქ რომ დამამინეს, მერე საავადმყოფოში გამქვდია და სამი თვე იქ დავიყავი...

— ფეხი ვერ შეგიანარჩუნეს?

— ვერა, თურქეთის საშხედრო კლინიკა „გათამაშ“ დროებითი პროთეზი გამიკეთეს... მუხლის ძეალი მაქვს და მპირდებიან, რომ წვივის ძეალსა და სილიკონის ტერფს გამიკეთებენ, რომლითაც უფრო თავისუფლად შევძლებ სიარულს... შეიარაღებულ ძალებთან კონტრაქტს გავაგრძელებ, ვადის ამოწურვის შემდეგ ახალი კონტრაქტის დადებას ვაპირებ. ასეულის მეთაურმა მოთხრა, დაზვერვის ნაწილში დავგარუნები, ნაკლები დავტოვოვა შექნება, მაგრამ მთავარია, ჩემს საქმეს არ მოვეცილები... ვიცი, ძნელია ამ სტატუსით ცხოვრება, მაგრამ ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ. ომში ვილაც უნდა დაიჭრას, ვილაც უნდა დაიღუპოს, სხვანაირად წარმოუდგენელია. ფეხი დავკარგე, მაგრამ მინიც ჩამომართლა, ცოცხალი ვარ, ახლახან ოჯახიც შევექმნი და ცხოვრებას ვაგრძელებ...

ლალი პაპასპირი



გიორგი ჯაბახიძე ვაზიანის სამხედრო ბაზაზე



„კაერი-მინა“ კლასის პართოვლი რაკეტები ფრთოსანი რაკეტები

დასაწყისი იხ. „არსენალი“ №21

სანამ აშშ და საბჭოთა კავშირი სერიულ წარმოებაში ახალ-ახალ ფრთოსან რაკეტებს უშვებდნენ, XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დიდ ბრიტანეთში მიხვდნენ, რომ ომის დაწყების შემთხვევაში მათი ბომბდამშენები ვერ შეძლებდნენ საბჭოთა პერსონალზე თავდაცვის გარღვევას. ამიტომაც საჭირო იყო ძლიერი ბირთვული ქობინით აღჭურვილი ფრთოსანი რაკეტის შექმნა. 1955 წელს ამ ამოცანის გადაჭრა ფირმა AVRO-ს დაევალა. ახალი რაკეტა, რომელმაც სახელწოდება Blue Steel-ი მიიღო, დროებით საშუალებად განიხილებოდა, სანამ აშშ პერსპექტიული ფრთოსანი

რაკეტა Skybolt-ის სერიულ წარმოებას არ დაიწყებდა. Blue Steel-ის სიგრძე 10,7 მ-ს, ფრთის გაქანი კი 4 მ-ს შეადგენდა. რაკეტა 7207 კგ-ს იწონიდა, საიდანაც 1300 კგ I.I მგეტანონ სიმძლავრის ბირთვულ ქობინზე მოდიოდა. რაკეტის ფრენის სიჩქარე 3 M-ს უტოლდებოდა და მისი გამოყენება 240 კმ დისტანციაზე შეიძლებოდა.


რაკეტის პირველი საცდელი გაშვება 1960 წელს აესტრალიაში, ვუშერის პოლიგონზე დაიწყო. რაკეტა სტარტს Victor-ისა და Vulcan-ის ტიპის ბომბდამშენებიდან იღებდა, რომელთა არსენალშიც ის შეიარაღებაში მიღების შემდეგ უნდა შესულიყო, მაგრამ გამოცდამ რაკეტის ზოგიერთი სისტემის ხარვეზი გამოავლინა და ექსპლუატაციაში ის მხოლოდ 1962 წელს მიიღეს. თითქმის იმავე დროს აშშ-ში დაიხურა რაკეტა Skybolt-ის შექმნის პროგრამა, რაც ინგლისელებისთვის ნამდვილი შოკი იყო.

**ფრთოსანი AGM-86B
სტრატეგიული B-52-ის
მრავალპოზიციურ დოღური
ტიპის გამშვებ დანადგარზე**


ინგლისელებს ისღა დარჩენიდათ, ბირთვული ქობინის სიმძლავრისა და ფრენის მანძილის გაზრდით რაკეტის მოდერნიზაცია მოეხდინათ, მაგრამ იმ პერიოდში ქვეყნის მთავრობამ აქცენტი წყაღველა ატომური ფლტის შექმნაზე გადაიტანა და სტრატეგიულ საავიაციო შეიარაღებას ძალზე შწირი ყურადღება და ფინანსირება ეთმობოდა.

სულ გამოუშვეს 73 რაკეტა. ამათგან 48 ცალი ანალოგიური რაოდენობის ბომბდამშენებზე გადაიწვიდა (თითო თითო რაკეტა მიჰქონდა). მართალია, Blue Steel-ი პირველი ბრეტანული ფრთოსანი რაკეტა იყო, მაგრამ ის ძალიან მოძველდა და 1970 წლის 31 დეკემბერს მოხსნეს შეიარაღებიდან.

Hound Dog-ის ეფექტიანობის მიუხედავად, ფეხსირებული ფრთის გამო B-52-ს მხოლოდ ორი ასეთი რაკეტის წაღება შეეძლო, რაც ფართომასშტაბიან ომში აშკარად არასაკმარისი იქნებოდა. ამიტომაც 1973 წელს პროგრამა ALCM-ის (Air-Launched Cruise Missile – საჰაერო სტარტის ფრთოსანი რაკეტა) ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი, რომლის ფინალისტად ერთი წლის შემდეგ კომპანია Boeing-ი და მისი რაკეტა AGM-86A დასახელდა. ეს პირველი ამერიკული ფრთოსანი რაკეტა იყო, რომელსაც ფრთები გაშვების შემდეგ



ემულგოდა, რაკეტა პოტენციური მოწინააღმდეგის საკონტინენტამორისო ბალისტიკური რაკეტების შახტების, სამეთაურო პუნქტებისა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების გასანადგურებლად იყო განკუთვნილი. AGM-86-ს პირვე-



ნაკლებ შემწნევაობის პრინციპით შექმნილი მსოფლიოში პირველი ფრთოსანი რაკეტა AGM-129A

ლი საცდელი გაშვება 1976 წლის მარტში შედგა, ერთი წლის შემდეგ კი ის სეროულ წარმოებაში ჩაუშვეს. პირველურად კი დაიწყო მუშაობა მისი ფრენის მანძილის გაზრდაზე. ასე განდა მოდფიკაცია AGM-86B, რომლის პირველი საცდელი გაშვება 1979 წლის მარტში შედგა.

რაკეტის მთავარ მატარებელ საშუალებად სტრატეგიული ბომბდამშენი B-52 განიხილებოდა, რომელსაც 20 ასეთი რაკეტის წაღება შეეძლო. აქედან რვა ბომბმანკვიეროში, დიდი რაოდენობის დანადგარზე თავსდებოდა, 12 კი ორ, ფიუჯელაჟსა და ძრავების შიდა წყვილს შორის არსებულ ფრთაქვეშა პილონებზე (თითოეუ 6 ცალი). პილონი 2270 კგ-ს იწონიდა და ყველა რაკეტის გამშვების შემდეგ ეკიპაჟს შუბლა წინაღობის შეს-

ამცირებლად მათი ჩამოვლება შეეძლო. 80-90-იან წლებში ამ სახის შეიარაღების ის სატარებლად 195 თვითმფრინავი იქნა მოდიფიცირებული (99 G და 96 H მოდიფიკაციაში).

AGM-86-ის სეროული წარმოება 1986 წლის ოქტომბერში 1715 ცალის გამოშვებით დასრულდა. იმავე წლის ივნისში Boeing-მა დაიწყო მუშაობა რაკეტის არაპროთულ ვარიანტზე, ახალმა მოდიფიკაციამ ნიშნული AGM-86C მიიღო და თანხების დაზოგვის მიზნით ამ მოდიფიკაციად მანამდე გამოშვებული ბრითულქობინიანი რაკეტების ნაწილი გადააკეთა. მაგრამ რაკეტაზე გაკვილებით მიმდმსხვრევედ-ფუგასური საბრძოლო ქობინის დაწვევამ რაკეტის ფრენის მანძილზე უაჩუფფთავად იმოქმედა, სამაგეროდ GPS-ის ტიპის სანავიგაციო სისტემის გამოყ-

ენებით გაიზარდა სიზუსტე. რაკეტის სიგრძე 6,35 მ-ს, ფრთის გაქაჩი 3,66 მ-ს შეადგენს. B მოდიფიკაციის შემთხვევაში რაკეტა 1450 კგ-ს იწონის, სადაც 123 კგ ბრითოულ საბრძოლო ქობინზე მოდის. მოდიფიკაცია C-თვის კი იგივე მანქნებული 1950 კგ-ია, სადაც 900 კგ მსხვრევედ-ფუგასური ტიპის საბრძოლო ქობინზე მოდის. რაკეტის ყველა მოდიფიკა-

ცია F107-WR-100-ის ტიპის რაკეტული ძრავითაა აღჭურვილი, რომლის წყვეც 272 კვძალას შეადგენს.

2001 წელს შედგა AGM-86 მოდიფიკაციის პირველი საცდელი გაშვება რაკეტა გამავალი 540 კვ-იანი საბრძოლო ქობინითაა აღჭურვილი და მაწინსვემვა გამგრებული ობიექტების გასანადგურებლადაა განკუთვნილი.

